



საქართველოს მოსახლეობის აღწერის საკოორდინაციო
სამთავრობო კომისიის სხდომა

N 1

2013 წლის 2 აპრილი

თავმჯდომარეობდა
კომისიის თავმჯდომარე

დ.ნარმანია

ესწრებოდნენ:

საქართველოს პრემიერ-მინისტრი

ბ.ივანიშვილი

კომისიის წევრები:

ზ.ჭელიძე, თ.წულუკიანი, დ.კირვალიძე,
გ.ხელაია, ლ.ყიფიანი, ს.სუბარი, დ.დარახველიძე,
გ.კვირიკაშვილი, გ.მარგველაშვილი,
დ.სერგეენკო, კ.სურგულაძე, პ.ზაქარეიშვილი,
გ.ბარამია, ა.ხაბაძე, ლ.სამადაშვილი, თ.ცეკვავა,
ე.კერესელიძე, პ.შავიშვილი

სხდომაზე მოწვეული იყო:

გ.გეგეჭკორი, ა.ტაბატაძე, ს.უგრეხელიძე

სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის ზ.ჭელიძის ინფორმაცია საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შესახებ (პრეზენტაცია) და საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის პროგრამის განხილვისა და დამტკიცების შესახებ

(ბ.ივანიშვილი, ს.სუბარი, პ.ზაქარეიშვილი, დ.დარახველიძე, დ.სერგეენკო, თ.წულუკიანი, კ.სურგულაძე, ს.უგრეხელიძე, ლ.სამადაშვილი, დ.კირვალიძე, ა.ხაბაძე, გ.ბარამია, პ.შავიშვილი, ა.ტაბატაძე, დ.ნარმანია)

1. მოწონებულ იქნეს წარმოდგენილი პროექტაცია.
2. დამტკიცდეს საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის პროგრამა.
3. სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (ზ.ჭელიძე) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან (დ.დარაბევიძე) ერთად მოამზადოს მეთოდოლოგია დევნილთა ხელახალ რეგისტრაციასთან დაკავშირებით.
4. სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (ზ.ჭელიძე) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (თ.წულუკიანი) მმართველოს სფეროში ასევე სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად დაიწყოს მუშაობა ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე დამისამართების პროექტისა და მოსახლეობის საყოველთაო აღწერის კოორდინაციის საკითხებზე.
5. სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (ზ.ჭელიძე) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად დააგზავნოს შესაბამისი წერილები სამინისტროებსა და სახელმწიფო უწყებებში, ქ.თბილისის მერიაში, აჭარისა და აფხაზეთის მთავრობებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, რათა გააქტიურდეს მუშაობა 2014 წელს დაგეგმილ მოსახლეობის აღწერასთან დაკავშირებით.
6. სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (ზ.ჭელიძე) მოამზადოს შესაბამის სამართლებრივ აქტებში ცვლილებები.

კომისიის თავმჯდომარე



დ.ნარმანია